ცნობის ფურცელი

№ 2448 ოთხშაბათი, 24 მარტი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2448

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

რედაქციისაგან

ვისაც ჟურნალ-გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს 1 აპრილამდე უეჭველად გამოგზავნოს ხვედრი შემოსატანი, რომ გამოცემათა გზავნა არ მოესპოთ.

კახეთის მევენახეთა საზოგადოება

„კახეთი“

აცხადებს, რომ ამ თვის 15-დან ღვინო ისყიდება

ბოთლი 20 კაპ., 25 კაპ., 30 კაპ. და მეტად.

უმთავრესი საწყობი და მაღაზია: ერევნის მოედანი თამამშოვის ქარვასლა. განყოფილება: მიხაილოვსკი პრ. სლივიცკის სახლში № 81. ისყიდება აგრეთვე ყველა საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

ქ. ქუთაისში გაიხსნა საზოგადოების განყოფილება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდა“-ს საწყობში და მის ხელმძღვანელობით.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება „კახეთის“ ფირმის იარლიკებს, რადგანაც თვალის ასახვევად ძლიერ არის გავრცელებული სხვა-და-სხვა მიმგზავსებული იარლიკები. (11—ნ.—2)

ტელეფონი № 741. საფთიაქო საქონლით მოვაჭრე ტელეფონი № 741.

ფარმაცევტთა ამხანაგობა.

(სასახლის ქუჩის და გოლოვინის პროსპექტის კუთხე „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

საალდგომოდ ჩვენებური სალებავი კვერცხისა: ჰიაფერი, ენდრო, ბაყამი და აგრეთვე ვარდის და ლიმონის ზეთი, ვანილი, ზაფრანა, ჯავრის ყვავილი, ჰილი და სხვა-და-სხვა.

ადრესი ფოსტა ტელეგრაფისა: Тифлисъ Фармацевтика. (4—ნ.—2)

აღდგომის მოახლოებისა გამო

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

ავეჯეულობათა სავაჭროში

დანიშნულია

იაფობა

მყიდველს 5% დაეთმობა ჩვეულებრივ ფასებიდან, მიხეილის ქუჩა, სახლი ექიმის კარაპეტიანცისა № 97. (ნ. 5—4)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. გ. მალალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ.. ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბეიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მალალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

რლანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (რეუტ. № 26). (30—ნ.—5)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მარტი

სევასტოპოლი. ქალაქის მოურავმა მიიღო სხვა-და-სხვა ქალაქებიდან აუარებელი დეპეშები, რომლითაც სთხოვენ, სალამი უძღვენით „ვარიაგი“-სა და „კორეეც“-ის გმირებსაო. აფიცრებსა და მეზღვაურებს საზოგადოება ალტაცებით ეგებება.

ბლაგოვეშჩენსკი. მატარებლით მოვიდა ბრძოლის ველზე დრაგუნთა მე-37 პოლკის შტაბს-როტმისტრი სპარსეთის პრინცი მანსურმირზა.

ნიუჩუანი („რეიტ. სააგ.“). აქ მოვიდა გემი, დაქირავებული პრესის წარმომადგენელთა მიერ. გემზე მყოფი ორი იაპონელი ლაქია დაუყოვნებლივ დაატუსაღეს. უეჭველია, რამდენისამე თვის შემდეგ გაანთავისუფლებენ. გემის ყველა მოსამსახურე რუსების მხედველობის ქვეშ იმყოფება. გემმა ბრძანება მიიღო, წავიდეს. აქნამდე რუსეთის მოხელენი ძლიერ თავაზიანად იქცევიან. ვაჭრობას, სავაჭრო გემს, რკინის გზას და ტელეგრაფს საკმაო თავისუფლება აქვს.

სეული („რეიტ. სააგ.“). ჩემულპოში მოვიდა იაპონიის 5 სატრანსპორტო გემი არტილერიითა, ცხენოსან და ქვეითა ჯარით. ეს ჯარი სეულს წავა. აქ მოვიდა სეულის ახლად დანიშნული კომენდანტი ხარაგუჩირი. როგორც კორეელები ამბობენ, რუსები ამბების მისატან-მოსატანად გაწვრთნილ ძაღლებით სარგებლობენ.

სეული („რეიტ. სააგ.“). იაპონელებმა ჩემულპოში გადმოსხეს რკინის გზის მომუშავე და ცხენოსანი ჯარი, რომელმაც სეულსა და იჯუს შუა რკინის გზა უნდა გაიყვანოს.

შანჰაი („რეიტ. სააგ.“) იაპონიიდან მოსულ ცნობების თანახმად, იაპონიის მთელი სამხედრო კორპუსი ხმელეთზეა გადაყვანილი და დაჭერილი აქვს პოზიციები ჩრდილოეთ-დასავლეთ კორეიაში.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

23 მარტი

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა მინისტრმა აცნობა წითელის ჯვრის აღმასრულებელ კომისიას, რომ ტოკიოში მყოფ საფრანგეთის ელჩის მოხსენების გამო, იაპონიის მთავრობამ თანხმობა განაცხადა, გემ „მონგოლია“-ს მიენიჭოს ის უფლება-უპირატესობანი, რომელნიც ჰააგის კონვენციამ საჭიროდ სცნო სამხედრო-საავადმყოფო გემებისათვის.

ლიაოიანი. ჩიონ-ჩუსთან ბრძოლის შემდეგ სიწყნარეა.

მანჯურიაში დიდ-ძალი პური და ხორცია შენახული. ჯარი უზრუნველ ყოფილია სურსათის მხრივ. ყოველ შემთხვევისათვის მოეწყო დასავლეთ ციმბირიდან მანჯურიის სურსათის საწყობებში რკინის გზით ხორცის გადატანის საქმე.

როგორც პეკინიდან მოსულ ცნობებიდანა სჩანს, იაპონიის ჯარის მობილიზაცია კარგად ვერ ხდება, არ ჰყოფნით აფიცრები. იაპონიაში ცუდ გუნებაზე არიან. საფინანსო საქმეები შეფერხებულია. კრიზისი საგრძნობელი ხდება.

მოსკოვი. სდგება თავისუფალ მეომართა რაზმი, რიცხვით 300 კაცამდე.

სეული. „ცენტრალ ნიუსი“ იტყობინება: გენერალ-მაიორი გამაგუში დაინიშნა სეულსა და იმის ახლო ოლქებში დაბანაკებულ ჯარების სარდლად. მთავარი შტაბი სეულშია. დღეს მოვიდა 1500 ჯარის-კაცი, საპიორთა კორპუსი ცხენებითა, საშენებელ მასალით. ამნაირად იაპონიის ძალას მოემატა და სეულსა და იჯუს შუა რკინის გზის გაყვანა დაჩქარდება.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. „ნოვი კრაი“-ს ატყობინებენ ლიაოიანიდან: გენერალ კუროპატკინის შტაბის ბინა აქ იქმნებაო. იქიდან სჩანს, რომ რკინის გზის მოხელეებს ბძანება მოუვიდათ, გენერალ-კუროპატკინისათვის სადგომი დაამზადეთ ლიაოიანშიო. („ნ. ვ“).

„ნიუ იორკ-ჰერალდ“-ი იუწყება: რუსის ჯარი ჩრდილოეთ კორეიიდან უკან იხევს და მდინარე იალუზე მაგრდება. იაპონიის პირველმა არმიამ პინიანიდან ჩრდილოეთისაკენ გაილაშქრა. ამ არმიის მოწინავე რაზმი 40 ვერსის მანძილზე მიუახლოვდა მდინარე იალუს და ჯერ-ჯერობით კასანსა, ანჩჟუსა და პეტიენს შუა გამაგრდა. მზვერავი რაზმები ადგილებს ათვალიერებენ. რუსის ყაზახებმა პინიანს იქით ჩრდილოეთისაკენ ხიდები სულ დაანგრიეს. („რ.“).

პინიანიდან ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს, იაპონელები ყოველდღე დიდ რაზმებს ჰგზავნიან ჩრდილოეთისაკენ, ჯარს სურსათიც თან მიაქვსო. („რ. ვ.“).

ფრანგულ გაზ. „მატენ“-ს დეპეშით ატყობინებენ ხარბინიდან: „14 მარტი. აქ ამბავი მოვიდა, ჩინეთის ჯარი გენერალ მას მეთაურობით ჩრდილოეთისაკენ წამოვიდაო. ამბობენ, იქნება ჩინეთის ჯარი იაპონელების თანხმობით მოქმედებდესო“. („ბ. ვ.“).

ჩინელი მოვაჭრეები დიდძალ ბრინჯსა ჰგზავნიან იაპონიაშიო. („რ. ვ.“).

ქალ. ჩიონჩჟუ, სადაც 15 მარტს ბრძოლა მოხდა, ანჩჟუს დასავლეთით მდებარეობს 40 ვერსის მანძილზე. („ნ. ვ.“).

ამ ერთის თვის წინად მოხსენებული გვქონდა, რუსის კრეისერი „ბოიარინი“ დაიღუპაო. იაპონელები ირწმუნებოდნენ, ეს კრეისერი ჩვენმა ნაღმიანმა გემმა „ასაგირი“ ააფეთქა და დაღუპა 1 თებერვალ ღამეს იერიშის დროსაო, ზოგი-კი ირწმუნებოდა, „ბოიარინი“ გემ „ენისეის“ მსგავსად დაიღუპაო. დალნისთან ზღვაში ნაღმებს აწყობდა, თითონაც ნაღმს მოჰხვდა და დაიღუპაო. ეხლა „რუსკი ვედომოსტი“-ს სამხედრო კორესპონდენტიც ჰმოწმობს ამ ამბავს: მუკდენში ჩვენმა მეზღვაურებმა მიამბეს, კრეისერი „ბოიარინი“ დალნისთან ნაღმს მოჰხდა და დაიღუპაო. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი მ. ვ. სწერს ამის თაობაზე: „ბოიარინი“-ს დაღუპვის ამბავი, ალბად, იაპონელებმა კარგად იციან, ამიტომ აქ დასამალი აღარა არის-რა და ჩვენი მთავრობა ურიგოს არ იზამს, რომ ოფიციალურად გამოაცხადოს, რა ნაირად, რა მიზეზით დაიღუპა კრეისერი „ბოიარინი“-ო.

„სენტრალ ნიუსის სააგენტოს“ კორესპონდენტს იაპონიის სანაპირო საზღვაო სადგურები დაუვლია და იაპონელი უმაღლესი აფიცრები უნახავს. აფიცრებს უთქვამთ: პორტ-არტურთან მომხდარ 4 ბრძოლის დროს იაპონიის სამხედრო გემებს მხოლოდ 7 ყუმბარა მოჰხვდაო. ეს ამბავი უფრო უბრალო შემთხვევით აიხსნება, რადგან რუსის არტილერია საზოგადოთ მარჯვედ ისვრისო. ყველანი ერთხმად ჰმოწმობდნენ, იაპონელმა მეზღვაურებმა საკვირველი გაბედულება და სიმარდე გამოიჩინესო.

პორტ-არტურთან 14 თებერვალს ბრძოლის თაობაზე რუსული საზღვაო გაზეთი „კოტლინ“-ი, სხვათა შორის, სწერს: „ადმირალ ტოგოს რომ პორტ-არტურის შესავლის ამოქოლვა მოეხერხებინა და ჩვენი ესკადრა შიგ მოემწყვდია, მაშინ ლიაოტეშანის მთაზე, ჩვენის ფორტებიდან უფრო მოშორებულ ადგილას, იაპონელების ჯარი გადმოვიდოდა და პორტ-არტურზე იერიშს მიიტანდა; იაპონიის ფლოტიც ამ დროს პორტ-არტურის ციხესა, ქალაქსა და შიდა რეიდში მომწყვდეულ ესკადრას ზარბაზანს დაუშენდა. ჩვენის ფიქრით, იაპონელებმა მხოლოდ ამ მოსაზრებით მოინდომეს რეიდის შესავლის ამოქოლვა. იაპონელებს რომ ეს განზრახვა აესრულებინათ, დიდი ზარალი მიეცემოდა ჩვენის ჯარის მირჯვენა ფრთას. ჩვენის აზრით, იაპონელები ამას იქითაც არ მოუსვენებენ კვანტუნის ნახევარ კუნძულს“.

ამავე ბრძოლის თაობაზე ადმირალი ტოგო თავის მოხსენებაში სწერს: 14 მარტს ჩვენ 2 აფიცერი და 3 მეზღვაური მოგვიკლეს და 9 დაგვიჭრეს. უმცროსმა აფიცერმა სიგუნომ სავაჭრო გემზე ასაფეთქებელ მასალის აფეთქება რომ დააპირა, სწორედ ამ დროს გემს რუსის ნაღმი მოჰხვდა, გასქდა და სიგუნო მოჰკლა. კაპიტანმა ხიროზემ შენიშნა, რომ სიგუნო არსად სჩანდა და ჩაძირულ გემზე სამჯერ დაბრუნდა სიგუნოს მოსაძებნად. უკანასკნელად რომ ავიდა გემის პალუბაზე, ყუმბარა მოჰხვდა და ასო-ასოდ დაჰგლიჯა. ჩვენი ნაღმიანი გემები „აფრამა“ და „ცუბამა“ ერთს რუსის ნაღმიან გემს („სილნის“) შეებრძოლნენ და ძლიერაც დააზიანესო. („პ. ვ.“).

იაპონელები ნავთ-სადგურ იოკუსუკაში ბეჯითად აშენებენ ნაღმიან გემებსა და პატარა კრეისერებს. „კრონშტადტის ვესტნიკ“-ი იუწყება, ერთი ნაღმიანი გემი ზღვაში ჩაუშვეს კიდევაც, სხვებსაც მალე ჩაუშვებენო. იაპონელებმა ინგლისის ქარხნებს ორი დიდი ჯავშნიანი გემი ადრევე შეუკვეთეს. ხმა დადის, ინგლისის ვერფებმა ამ ბოლოს დროს იაპონელებს 10 საესკადრო ნაღმიანი გემი მიჰყიდესო. ეს გემები ინგლისის ნავთ-სადგურებიდან გავიდნენ კიდევაც და იაპონიას გაემართნენო. („ნ. ვ.“).

რუსეთის ფლოტის უფროსს ადმირალ მაკაროვს მიუწერია თავის ნაცნობებისათვის კრონშტადტში: კარგადა ვარ, ყოველ წამს

იაპონიის ფლოტის დაცემას მოველი, ძილის დროსაც კი მუნდირს არ ვიხდიო.

„მორნინგ პოსტ"-ი სწერს, უმავთულო ტელეგრაფს დიდი სარგებლობა მოაქვს იაპონიის ფლოტისათვისაო. ეჭვი არა, ამ უმავთულო ტელეგრაფის შემწეობით, ადმირალმა ტოგომ ყველაფერი დაწვრილებით იცის, რაცა ხდება ზღვაში, თუ კირეიაშიო. („ნ. ვ.").

იაპონიის კონსული ჩიფუდან სიგნალების სისტემის შემწეობით ელაპარაკება იაპონიის ფლოტს. („რ. ვ.").

ჩინელმა მოხელეებმა ნება დართეს, იაპონელებმა შანჰაი-გუანის რკინის გზით სხვადასხვა საქონელი ზიდონ. („რ. ს.")

ლონდონიდან „ბირჟევი ვედომოსტი"-ს დეპეშით ატყობინებენ: 16 მარტი, აქ ხმა გავრცელდა, ვლადივოსტოკის ესკადრამ ბევრი იაპონიის სავაჭრო გემი ჩაიგდო ხელში და ვლადივოსტოკში დაბრუნდაო.

ფრანგულ გაზ. „მატენ"-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: ვლადივოსტოკის ესკადრა არგენტინის რესპუბლიკას მიდის, იქიდან რუსეთის ნაყიდ სამხედრო გემებს წამოიყვანს და ისევ აღმოსავლეთ-აზიის ზღვებში დაბრუნდებაო. („ბ. ვ.").

„დეილი მეილ"-ი იუწყება: ჩილის რესპუბლიკის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, არც რუსეთისთვის მიმიყიდნია გემები, არც იაპონიისათვისაო. („რ. ვ.").

„მატენ"-ს დეპეშით ატყობინებენ ხარბინიდან: აქ ყველანი დარწმუნებულნი არიან, ეხლანდელი ომი მეტად დიდხანს გასტანს და ნამდვილი ომი მხოლოდ სექტემბერში დაიწყებაო, რადგან ივლისში და აგვისტოში მანჯურიაში მუდამ დიდი წვიმა მოდის და სამხედრო მოქმედება შეუძლებელი იქნებაო.

ინგლისური გაზ. „უესტმინსტერ გაზეთ"-ი სწერს: „მკითხველები გვიჩივიან, რატომ ომის ამბებს სწორედ არ გვატყობინებთო. ეხლა არა თუ ჩვენმა კორესპონდენტებმა არ იციან სწორე ამბები, გვგონია, თვით მებრძოლმა გენერლებმაც კი არ იციან სწორედ, რაცა ხდება ბრძოლის ველზე. რუსის და იაპონიის ჯარები ჯერ ერთმანეთს უახლოვდებიან და ერთმანეთის ამბავს ჯაშუშებისა, მზვერავ რაზმებისა და ტყვეების შემწეობით იგებენ. უნდა გითხრათ, რომ ასეთს ცნობებს იქნება ჩვენის კორესპონდენტების ცნობებზე ნაკლები ფასიც ჰქონდეს. („ნ.").

ნაგასაკიდან (იაპონიიდან) მოსული რუსები ირწმუნებიან, იაპონიის მთავრობა მეტად თავაზიანადა და ზრდილობიანად გვექცეოდაო. ნაგასაკის გუბერნატორმა და პოლიცმეისტერმა ყველა რუსის სახლი მოიარეს და ურჩევდნენ, ნუ წახვალთ, არაფერი არ დაგიშავდებათ, თუ გინდათ სათითაოდ დარაჯს მოგიჩენთო. მაგრამ დარაჯი სრულებით არ იყო საჭირო; იაპონელები უამისოდაც ზრდილობიანად გვექცეოდნენ და არაფერს არ გვიშავებდნენო. („ნ. ვ.").

„ნიკოლსკ-უსურიისკი ლისტოკ"-ი იუწყება: ხმა დადის, ვითომ აქაურ ჩინელებში მოწოდება გავრცელებინოთ და ვითომ მოწოდებაში ეწეროს, ჩინელებმა ყოველი ღონე უნდა იღონონ, რომ ამურისა და უსურიის ოლქებიდან რუსები განდევნონო, რადგან მთელი ეს მხარე ადრე ჩინეთისა იყოო. ეს მოწოდება, ალბად, იაპონელების დაწერილი იქნება, მაგრამ, სამწუხაროდ, ნიკოლსკში ერთი რიგიანი თარჯიმანი არ იპოვება, რომ ეს მოწოდება რუსულ ენაზე გადათარგმნოს („ნ. ვ.").

ჩინეთის გაღვიძება. გერმანულ გაზეთ „კელნიშე ცაიტუნგ"-ს ატყობინებენ შანჰაიდან: სამხრეთ-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორებმა და გუბერნატორებმა უმაღლეს მთავრობას ქაღალდი მიართვეს. ამ ქაღალდში სწერია: „ჩვენ, ჩინელები, აქამდე ჩვენის ძველის განათლებისა და ჩვენის ძველის იარაღის შემწეობით ვებრძოდით ევროპას, მაგრამ ჩვენმა მეცადინეობამ და ბრძოლამ ფუჭად ჩაიარა. ადრე იაპონიაც ჩვენსავით იქცეოდა, მაგრამ იმის წინააღმდეგობას ზედაც არავინ შეჰხედა. იაპონიამ მას აქეთ რეფორმები შემოიღო და 30 წელიწადში ისე გაძლიერდა, რომ ეხლა თითქმის ყველაზე მძლავრ სამხედრო სახელმწიფოს—რუსეთს ომი გამოუცხადა. ჩინეთი იაპონიაზე ათჯერ დიდია, ხალხიც სამჯერ მეტი ჰყავს, ვიდრე რუსეთს, მაგრამ ხმის ამოღებასაც ვერა ჰბედავს და რუსეთს მონასავით თვალებში შეჰყურებს. ეს სულ იმისი ბრალია, რომ ჩვენ თანამედროვე კულტურას ვერიდებით და სახელმწიფო მმართველობა, თუ ყმაწვილების სწავლა ძველ წესზე გვაქვს მოწყობილი. დროა, ჩვენც თვალი გავახილოთ და ჭკუა ვისწავლოთ. თუ ყოჩაღად არ მოვიქეცით, ეხლანდელი ომი უარესს ზარალს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. ვეცადნეთ, რომ ამ ომმა ზარალის ნაცვლად, ხეირი მოგვიტანოს და ჩინეთი თავის პატარა მეზობელ იაპონიასავით განახლდეს, გაძლიერდეს და სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცეს".

ეს ქაღალდი გენერალ-გუბერნატორებმა იუანშიკაისა და ჩანჩიტუნის ხელით მიართვეს უმაღლეს მთავრობას". („ბ. ვ.").

ახალი ამბავი

◆ მოსკოვის საიმპერატორო ბუნებისმკვლევართა საზოგადოებამ ტფილისის გუბერნიაში **გამოკვლევების მოსახდენად გამოგზავნა** მოსკოვის უნივერსიტეტის სამინერალოგო კათედრის პრივატ-დოცენტი ვ. ვ. არშინოვი. ამ საზოგადოების პრეზიდენტმა ტფილისის გუბერნატორს სთხოვა, დახმარება აღმოუჩინოს მოგზაურობის დროს ბ-ნ არშინოვს.

◆ ახალქალაქის მაზრის უფროსმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, ნება დართოს სოფ. ეშტიის მცხოვრებმა ჯავახებმა **სასოფლო-სამეურნეო თანხიდან 5248** მან. ისესხონ და ჩააბარონ მიწის მფლობელ ბაიბურეტსკის, რომელთანაც ამ სოფლელებს დავა ჰქონდათ მიწის მფლობელობის გამო და წააგეს ეს დავა ყველა სასამართლო ინსტანციებშიო.

◆ ტფილისში მცხოვრებ იმ ყმაწვილ კაცთა სიები, რომელნიც წელს **სამხედრო ბეგრის** მოსახდელად არიან გაწვეულნი (1882—1883 წ. დაბადებულნი), გაკრულია ტფ. საქალაქო გამგეობის სადგომში. თუ ვინიცობაა ჯარში გასაწვევი ახალგაზრდათაგანი ამ სიებში ვინმე გამოტოვებულია, 15 მომავალ აპრილამდე უნდა განუცხადოს ქალაქის სამხედრო საქმეთა საკრებულოს და თანვე წარუდგინოს მოწმობები დაბადებისა, მონათვლისა და ვინაობის შესახებ. თუ ვინიცობაა ახალგაზრდანი ცნობების წარმოდგენას 15 აპრილს შემდეგაც დააგვიანებენ, მაშინ სამხედრო საკრებულოს უნდა აცნობონ, რა მიზეზით დააგვიანეს და საჭირო ცნობები საკრებულოს დროზე არ წარუდგინეს.

◆ ივ. თოთიბაძე, ცეცხლაძე, თოხაძე, თოიძე და მამულაიშვილი, რომელნიც ამ დღეებში ტფილისის სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო წმ. ანტონის **მონასტრის გაძარცვაში** და რომელთაც გადაუწყვიტა კატორღაში თორმეტ თორმეტის წლით გაგზავნა, არ დასთანხმდნენ ამ განაჩენს და მის განსაჩივრებას აპირობენ უმართებულეს სენატში.

◆ ეს ერთი კვირაა ტფილისის მცხოვრებნი მეტად შეწუხებულნი ვართ ყოვლად **უვარგის წყალით.** მოიმატა მტკვარმა და მოგვემატა ტფილისელებს თავსატეხი და საფიქრებელი საქმე. ამ საბედნიერდღეოდ ყოველი ოჯახი ემზადება, მაშასადამე, წყალი ამ დროს განსაკუთრებით საჭიროა, მაგრამ ამას ვინღა დაეძებს, რომ სასმელად და ჩაისთვის ვშოულობდეთ წმინდა წყალს. თუ ჩვენს „მამებს" მოსწონთ ეს შეზავებული „ნექტარი", ჩვენ არ მოგვწონს და ერთხელ მაინც გადმოგვხედონ თავიანთ სიმაღლიდან და მცხოვრებთა ნამდვილ ინტერესებს მართებულად მოეპყრან.

◆ ტფილისის **ფოსტა-ტელეგრაფის** ოლქის უფროსის თანაშემწე პ. ი. კოჟინი, როგორც „კავ." გადმოგვცემს, გადაჰყავთ კიშინევში ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსად. იმის ადგილას თანაშემწედ ნიშნავენ მთავარ მექანიკოსს ნ. ს. ივანოვს.

◆ ტფილისის საქალაქო პირველ დაწყებით სასწავლებელთა **შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების** გამგე-კომიტეტის ანგარიშიდან სჩანს, რომ 1903 წელს საზოგადოებას მიემატა 36 წევრი, ასე რომ სულ საზოგადოებაში ამ ჟამად არის 221 წევრი, აქედან ნამდვილი 161, საპატიო 7, მუდმივი 27 და დამხმარე წევრი 26. საანგარიშო წლის დამდეგს საზოგადოების კასაში იყო 6914 მან. 50 კაპ., წლის განმავლობაში შესულია წარმოდგენიდან 856 მან., ქალაქისაგან შემწეობა 1000 მან., სარგებელი სათადარიგო თანხიდან 503 მან. და სხვა, სულ 3229 მან. 15 კაპ. კომიტეტის განკარგულებაში იყო 10,143 მან. 65 კაპ. საზოგადოებას სხვადასხვა საქმეებზე დაეხარჯა სულ 3896 მან. 97 კაპ. და საანგარიშო წლის დამლევისათვის დარჩა 6246 მან. 68 კაპ. ღარიბებისათვის კომიტეტს მიუცია სტიპენდიად 912 მან. სულ კომიტეტი სტიპენდიას აძლევს 40 მოსწავლეს: ექვს ტფ. სახელოსნო სასწავლებელში, 4 პროფესიონალურ სახელოსნოში და სხვა. სტიპენდიანტები ეროვნებით ასე განიყოფებიან: 10 რუსია, 15 სომეხი, 14 ქართველი და 1 თათარი. მოსწავლეებს ფულად შემწეობა აღმოეჩინათ სულ 450 მან. ღარიბებს შემწეობა მიეცათ აგრეთვე ფეხსაცმელის და ტანთსაცმლის დარიგებით. მოსწავლეებს ფეხსაცმელები მიეცათ სულ 317 წყვილი 778 მან. 40 კაპ. მასალა შეძენილ იქმნა 1286 მან. 25 კაპეიკისა, რაც შეკერვიანად დაუჯდათ სულ 1419 მან. 75 კაპ. სულ ტანისამოსითა და ფეხსაცმელებით შემწეობა აღმოეჩინა 669 მოსწავლეს.

◆ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა გამგემ ამიერ-კავკასიაში სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, **იარაღის ტარების** ნება მისცეს ახალციხის ტყის მცველებს.

◆ თავ. დ. ა. გურამიშვილის განცხადება ქვემო-ავჭალაში იჯარით **ადგილის დათმობის შესახებ**, რომლის შინაარსი გუშინ გვქონდა აღნიშნული, ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა 22 მარტის სხდომაზე. გამგეობამ დაადგინა შეამოწმოს ადგილობრივ—გამოსადეგი იქნება თუ არა აღნიშნული ადგილი ქალაქის წყლის მილისათვის და შემდეგ განიხილოს არსებითად თავ. გურამიშვილის წინადადება.

◆ 22 მარტის სხდომაზე ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა ტფილისის გუბერნატორის წინადადება იმის შესახებ, რომ შეჩერებულ იქმნეს ყარღანოვისა და ანასტასიის ქუჩებზე თავ. გ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვის სახლის შენება, რადგანაც იგი შენდება სავალდებულო დადგენილებათა წინააღმდეგ, და დაჯარიმებულ იქმნეს ქალაქის იმ უბნის არქიტექტორი, რომელმაც ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია ამ შენობას და მუშაობა არ შეაჩერა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა ამორჩეულ იქმნეს განსაკუთრებული კომისია ქალაქის ინჟენერ კოგნოვ[illegible]კის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალ

ფელეტონი

წერილები უცხოეთიდან

(დასასრული*)

საღამოს მთელი ეს მოედანი ათასი ელექტრონის ლამპებით გაანათეს, ათასი შუშხუნები დასწვეს, მოედანი ცეცხლით აივსო, ჯოჯოხეთად გადაიქცა, სადაც ჭრელად მოსილი ქაჯები ცეკვავდნენ. დიდები და პატარები, ერთმანეთში არეულნი, წივილ-კივილი, სიცილ-ხარხარი, აღტაცებული მტლაშა-მტლუში. სირცხვილს მასკა ჰქონდა აფარებული, ერთმანერთს ვერ სცნობდნენ, ერთმანერთის არ რცხვენონოდათ და „ქვენა გრძნობათ" თავისუფალი ასპარეზი გაუხსნეს. ქალ-ვაჟნი, ერთმანერთზე გადახვეულნი, შემთხვევით თავმოყრილნი, ეკურკურებოდნენ ერთმანერთს, ხელს უსობდნენ ლოყებზე და გულ-მკერდზე. ამ ვნებათა აღმძვრელ სურათს ბავშვები უცქეროდნენ, ხორცის აღმრევ ოინებს ითვისებდნენ, რომელთაც, რასაკვირველია, შესაფერისად გამოიყენებენ ცხოვრებაში.

კარნავალი ნიცაში 10 დღე გრძელდება, ხანგრძლივი გადარეულობაა. აქაური ბურჟუაზია სცდილობს ყოველ დღე სხვა-და-სხვა სახე მისცეს მას. დრო გამოშვებით მართავს ეგრედ წოდებულ ყვავ-ილებით ბრძოლას. ზღვის პირის გაშტვენი ქუჩა ყვავილებით შემკულ ეტლებით ივსება და შიგ მჯდომნი მშვენივრად გამოწყობილნი ქალ-ვაჟნი ერთმანერთს ყვავილებს ესვრიან. ჰაერში ტყვიების მაგიერად ვარდების ბზუილი ისმის. ანგელოზების მსგავსნი დიაცნი, უმანკო თეთრად მოსილნი, ამ უმანკო ფშვიად ტყვიებს იზვრიან და, რასაკვირველია, ლამაზ ყმაწვილ კაცებს იღებენ მიზანში. ცხვირის დამატკბობელ თაიგულებს გულის შემმუსრავ თვალთა ისრებს აყოლებენ და არა ერთი ყმაწვილი პრაწიკანა რჩება დასაჩიხრებული, სასიკვდილოდ დაკოდილი ბრძოლის ველზე.

ყველაზე ლამაზ ეტლებს პრემია ეძლევათ, ამიტომ ეს ლამაზი ქიშპობა ორიგინალობის, თავისებურად მწყობილი ეტლების კონკურენციას, მეტოქეობას წარმოადგენს. აი ეტლი, რომელიც ყვავილებით სავსე კალათას წარმოადგენ და ორათ არის გაყოფილი. ცალკე განყოფილებაში, თეთრი ვარდების შუა ზის შავ-გვრემანი ქალი, მეორეში-კი მუქი ფერის ვარდების შუა—თეთრი-ყირმიზი ქალი. ორივენი რჩეულნი, კეკლუცნი და ლამაზები არიან, მარჯვედ მოქმედებენ, არც ერთ მამაკაცს არ სტოვებენ გულში და ცხვირში დაუკოდავს აი, მოცურავს პატარა ეტლი, რომელიც წარმოადგენს ლამაზ გედს: ფრთა გაშლილი თეთრი ფრინველის სახე აქვს. ეს ფრინველი თეთრ ვარდებისაგან არის გაკეთებული, ზედ თეთრით მოსილი მზეთ-უნახავი ზის; თვალები ტკბილად მიბნედილი აქვს და ხელების ხაზი, ზანტი ქნევით თეთრ ვარდებს სტყორცნის გამვლელ-გამომვლელთ.

მას მოსდევს ეტლი—ყვავილების დიდი კონა; ამ ყვავილების შუა ყმაწვილ ქალთა ლამაზი სახეები მოსჩანან. ეს ქალებიც ყვავილებს აწვიმებენ გამვლელ გამომვლელთ.

მრავალი ლამაზად, მოხდენილად ყვავილებისაგან გაკეთებული ეტლები სდევენ ერთმანერთს და შიგ მჯდომნი ყვავილებით იბრძვიან. ნიცას მთელი შეძლებული საზოგადოება ამ ეტლებში ზის და ლამაზად თავს იქცევს. მათი შემხედვარე დარწმუნებულია, რომ ამ ლამაზ არსებათა ცხოვრების სარბიელი ყვავილებით არის მოფენილი, რომ მთელი დედამიწა სამოთხეს წარმოადგენს და კაცობრიობა ნეტარების ზღვაში სცურავს.

დიდი სიმდიდრე გათლეს ამ დღეს ნიცაში ფეხ-ქვეშ ცხენებმა და გამვლელ-გამომვლელებმა. არ შეგვეძლოთ უნებლიეთ არ გაგვეფიქრათ, ნუთუ ისე სავსეა ქვეყანა, ხალხი სიმდიდრით, ავლადიდებითა და ბედნიერებით, რომ ასე ადვილად იმეტებს მას ფეხ-ქვეშ გასათელავათ. რამდენიმე ათი ათასი ფრანკის ღირებული ყვავილები თითქო ქარმა წაიღოო. ლამაზი ხელები ადვილად ისვროდნენ ჰაერში „შუაზამთარში" ძვირფას ყვავილებს. ნეტა თუ ასე ადვილად გაუწვდიან ეს ნაზი ხელები ორიოდე გროშს ღარიბ მათხოვარს. არა მგონია. ღარიბი კაცი, მათხოვარა—ძონძებით მოსილია, უშნო სანახავია, არაფერია მასში ისეთი, რომ კეკლუცი, ლამაზი ქალის გრძნობა მოხიბლოს; ყვავილების ზღვაში კი იგი ნეტარებას გრძნობს, სიმდიდრე ამისათვის უნდა, აქ იზრდება იგი სულითა და გულით, თავის ტოლთა შუა, მასავით მდიდართა შორის ატარებს დროს, მის თვალებსავით ბედნიერი აღტაცებით განათებულ თვალებს სჭვრეტ და საერთო მხიარულების, საერთო ჰიპნოტიზმის მსხვერპლი ხდება: მშვენიერი სურათი ცხოვრებისაგან დაშორებული სანეტარო სცენაა ამ მოთამაშე არსებათათვის, რომელნიც აქ ჰპოვებენ წუთიერ ნეტარებას.

პოლიციამ სასტიკად აუკრძალა ნიცე ღარიბ ხალხს ვარდების სრძოლაში ჩარევ და ნასროლ ყვავილების კრეფა ქუჩებში. ერთ ძონძებში მოსილ, სახე გაყვითლებულ ბავშვს მოვკარი თვალი, რომელიც ჩუმა მიეპარა ქუჩაში დაყრილ ვარდებს, შიში მიავლ-მოავლო თვალი, ხომ არსაიდან მხე დავს პოლიციელიო, უცებ წაავლო ხელ ყვავილებს და მსწრაფლად მოჰკურცხლა. ალბად, გასასყიდად და შიმშილის მოსაკლავ უნდოდა. ეს სურათი ჩემთვის ცხადი იყ ყვავილების ბრძოლა კი რაღაც ლამაზ სი მრად მეჩვენა, ქარისაგან შემოტანილ მისგანვე გატაცებულ საოცნებო სურათ ცხადად, მკვიდრად და ნამდვილად წარმ მიდგა, რა უსამართლობაა ამგვარი აღტ ცებული დღესასწაული იქ, სადაც თქვ გვერდით სულის-მომწყვლელი სიღარიბე სნეულება ბუდობს.

მშვენიერება—ყველა ცხოვრების მკურნალი სახსარიაო, მეტყვიან მღ და ლამაზი ესტეტიკოსები.

ცხოვრებას მოწყვეტილი მშვენიერებ ისე ვერ უშველით ცხოვრების ჭირ-ვარამ როგორც ვერ განკურნავთ სისხლითა ბალღამით სავსე იარას, რამდენიც უნ დააყაროთ ზედ მშვენიერი და ძვირფას ვარდები,—ვუპასუხებ მე იმათ.

ი. ნაკაშიძე

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2443.

განხილვა იმისა, თუ რამდენად დაარღვია არგუთინსკიმ სავალდებულო დადგენილებანი. როცა გამგეობას ამ კომისიის მოხსენება წარედგინება, მაშინ არსებითად განიხილავს გუბერნატორის ხსენებულს წინადადებას.

◆ სოფ. კურდღელაურთან (თელავის მაზრა) ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი 15 მარტს, ღამის 11 საათზე, თავს დაესხნენ და თოფის სროლა დაუწყეს ცხენით მიმავალ აქციზის მოხელეს უნდერს, როდესაც იგი თელავს ბრუნდებოდა. უნდერმა ცხენი გააჭენა და ტყვიები აიცდინა.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს სამკურნალო განყოფილების ცნობებიდანა სჩანს, რომ წარსულ 1903 წლის განმავლობაში მთელ ტფილისის გუბერნიაში ყოფილა სულ 43 აფთიაქი, აქედან მარტო ტფილისში 16. 43 აფთიაქს წლის განმავლობაში მიუღია 393,990 რეცეპტი სულ 308,680 მანეთისა და 83 კაპ.

◆ ტფილისის ქალაქის დარიბთა 1-ლ თავშესაფარის ზედამხედველმა გუშინ წარუდგინა ტფ. ქალაქის გამგეობას წარსულ თებერვლისთვის ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, საანგარიშო თვის განმავლობაში თავშესაფარით უსარგებლნია 3623 კაცს; აქედან რუსი ყოფილა—1522, სომეხი—1420, ქართველი—528, თათარი—50, გერმანელი—64 და პოლონელი—33.

◆ ნავთლუღში, რკინის გზის სადგურის ახლო, მე-295 ვერსზე ამ დღეებში სამი ხარი გასრისა საქონლის მატარებელმა. თურმე ქალაქის ხორცის დუქნების საქონელს აძოვებდნენ მწყემსები. უცბად სათვალავში ორი ხარი დაჰკლებიათ, შესდგომიან ძებნას, შეუტყვიათ, რომ ქურდებმა მოჰპარეს და გამოსდგომიან. ქურდებს დასწევიან და ნაქურდალი ორი ხარიც დაუტოვინებიათ, მაგრამ სამი ცალი ხარი-კი რკინის გზის მატარებელს უმსხვერპლნია.

◆ სადგურ სადახლოდან (ყარსის რკინის გზის შტო) გვატყობინებენ, რომ საშინლად ურცხვად თურმე იქცევიან ღამის რაინდები. ისე ღამე არ გაივლის, რომ სადახლოსა და იმის მახლობლად მდებარე სოფლებში რამდენიმე ქურდობა არ მოხდეს. იმდენად გათამამდნენ ეს ვაჟბატონები, რომ 27 თებერვალს საქონლის ვაგონი გასტეხეს და, რამდენიც შეეძლოთ, საუკეთესო საქონელი წაიღესო. სადახლოში ამ ბოლო დროს ძალიან თურმე გავრცელებულა ხე-ტყის წარმოება. ამზადებენ ყოველგვარ ხის მასალას და შეშას, მაგრამ ეს წარმოება თითქმის მოსულ ვაჭართა ხელშია, თუმცა ახლადაახლა აქაურმა თავადებმაც მოჰყვეს ხელი ხე-ტყის დამუშავებასაო.

◆ სოფ. ვანთაში (თელავ. მაზრა) ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი შესულან დროებით მცხოვრების ისაკ დავარაშვილის სადგომში, უცემიათ იმისა და იმის ცოლისთვის, წაუღიათ ფულად 600 მანეთი და რამდენიმე თოფი ფარჩეულობა.

◆ ახალციხიდან მივიღეთ რვა კაცისაგან ხელმოწერილი წერილი. გვწერენ: „ცნობის ფურცლი“-ს 2423 ნომერში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია ახალციხიდან. ავტორი კორესპონდენციისა ბ-ნი ბ-ლი სწერს ახალციხის „წ. კ. გამ. საზოგად.“ სამკითხველოს მეთვალყურის შესახებ, ვითომ ძალიან უცნაურად იქცეოდეს და წიგნის გამოცვლის დროს მკითხველს მთელის საათობით აცდევინებდეს. აგერ შვიდი წელიწადია, რაც ეს მეთვალყურე განაგებს სამკითხველოს და ჩვენ, ყოველ დღიურ მკითხველთ და წიგნების გამტანთ, არ გვახსოვს, რომ წიგნის გამოსაცვლელად ვინმეს ეცადნიას მთელი საათობით. მადლობის მეტი არა გვეთქმის-რა, რადგან საქმე მოაწყო და მოაწესრიგა. ბევრი შრომა მიუძღვის ეხლანდელ მეთვალყურეს საკუთარ შენობის შეძენის საქმეში“.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საგანგებო კრება

18 მარტი

დასასრული *)

წინა სხდომის ოქმის დამტკიცების შემდეგ წაკითხულ იქმნა შავი-ქვის მრეწველის ბ-ნ შუტცის დეპეშა შემდეგის შინაარსისა: „რადგან არ შემიძლიან დღეს პირადად დავესწრო კრებას და რადგან ეხლა გავიგე, რომ ბ-ნთ ჭასფელდს, ანდრონიკოვსა და ნარიშკინს გადაუწყვეტიათ ფინანსთა სამინისტროს საზღვარ-გარეთულ წარმომადგენლების საშუალებით ხელი შეუშალონ ტარიფის დაკლებას, ჩემის მხრით უმორჩილესად ვსთხოვ მრეწველთა კრებას, შეატყობინოს სამინისტროს, რომ ხსენებულ ვაჟბატონით არავითარი კავშირი არა აქვთ ჩვენს მრეწველობასთან, რომ კრება მათს მოქმედებას სთვლის მავნებლად,— რისთვისაც აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა, რომ ეს ვაჟბატონები არ დაუშვან რომლისამე საკითხის განხილვაზე, რომელიც შეეხება ჩვენს მრეწველობას. კრებამ ერთხმად, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის ბ-ნ ტრიროგოვის გარდა, დაადგინა, ბ-ნ შუტცის განცხადება მოხსენდეს ფინანსთა სამინისტროს. შემდეგ დახურულს კენჭის ყრით გადაწყდა საკითხი, თუ რა დროიდან უნდა ეძლეოდეთ შემწეობა დაშავებულ მუშებს, 1904 წლის 1 იანვრიდან, 22 თებერვლიდან, თუ 16 მარტიდან. დადგმულ იქმნა სამი ყუთი. კენჭის ყრამ შემდეგი აღმოაჩინა: 1 იანვრიდან დანიშვნის მომხრე აღმოჩნდა 12 წევრი წინააღმდეგი—28; 22 თებერვლიდან დანიშვნი მომხრე 31 წინააღმდეგი—9; 16 მარტიდან—მომხრე 12, წინააღმდეგი 28. ამგვარად კრებამ 31 ხმის უმეტესობით 9-ის წინააღმდეგ დაადგინა: დაევალოს საბჭოს აძლიოს უბედურ შემთხვევების დროს დაშავებულ მუშებსა და მათს ოჯახობას შემწეობა 1904 წლის 22 თებერვლიდან.

ამას მოჰყვა საკითხი ბ-ნ ემერიკის დაჯილდოვების შესახებ, რომ მისცემოდა 1000 მანეთი იმ ხარჯებისა და შრომის ნაცვლად, რომელიც მან გასწია ტარიფის დაკლების შესახებ შუამდგომლობის დროს; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი ემერიკი ჯერ თხოულობდა 3000 მანეთს, შემდეგ 1000 მანეთს დასჯერდა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ კრებას ერთხმად გადაეწყვიტა ეს რაოდენობა. ბოლოს დახურულ კენჭის ყრაზედაც დასთანხმდა. კრებამ, რომელიც წინა სხდომაზედ უარს ამბობდა ბ-ნ ემერიკის დაჯილდოვების შესახებ, ეხლა შეიწყნარა იმისი თხოვნა და 29 ხმის უმეტესობით 6-ის წინააღმდეგ დაადგინა მიეცეს ბ-ნ ემერიკს ტარიფის დაკლების შუამდგომლობის დროს გაწეულ ხარჯების დასაფარავად 1000 მანეთი (თავ. პ. გ. წულუკიძესა და ბ-ნ კოვალევსკის კენჭი არ ჩაუგდიათ ყუთში). შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა: დაევალოს მრეწველთა საბჭოს ტელეგრამით გაუგზავნოს რუსეთის სათავად-აზნაურო ფონდის კომიტეტის თავმჯდომარეს მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. ტრუბეცკოის 1000 მანეთი შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ და დასავადმყოფებულ რუს მეომართა სასარგებლოდ. დასასრულ კრებამ ერთხმად მადლობა გამოუცხადა კრების თავმჯდომარეს მ. ი. ჩენგერისა და მთავარ-მართებლის წარმომადგენელს ბ. ა. როვნიაკოვს.

დონ-ვალიანი

ტფილისის ქალაქის საბჭო

22 მარტი

ქალაქის სკოლათა გამგე კომისია იმის ზრუნვაშია, რომ სკოლებს საკუთარი სადგომები შეუძინოს და ისე მოაწყოს, როგორც ამას თხოულობს თვით სკოლის მოთხოვნილება და საჭიროება; კერძო სახლებში-კი შეუძლებელია ყველა ამაების პოვნაო. სანამ სახლებს ააგებდნენ სკოლებისათვის, ჯერ ადგილებია შესაძენი. ამის ძებნას შესდგომია კომისია და შეუთვალ-თვალებია რამდენიმე ადგილი ავლაბარსა და ხარფუხში. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია თურმე ხარფუხის სკოლა: ეხლანდელი სადგომი იმდენად გამოუსადეგარი და მოუხერხებელია, რომ სკოლის იქ დატოვება შეუძლებლად უცვნია კომისიას, ახალის სადგომის შოვნა კი მოუხერხებელია, რადგან ამ უბანში სრულიად არ მოიძებნება თურმე სკოლისათვის გამოსადეგი სახლი. ამიტომ კომისიამ ითხოვა: ეხლავე ვსთხოვოთ საბჭოს 400 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა შევიძინოთ და ამისათვის 8 ათასი მანეთის კრედიტი მოგვეცესო; სახლის ასაგებადაც—15 ათასი მანეთი. ამას გარდა, ავლაბარშიაც ნაპოვნია სკოლისათვის გამოსადეგი მიწა ხელ-საყრელ ფასში; ამის შესაძენადაც ვითხოვოთ 4800 მანეთიო.

ქალაქის გამგეობა დასთანხმებია კომისიის აზრს და დაუდგენია: ვსთხოვოთ საბჭოს 30 ათასი მანეთი ავლაბარსა და ხარფუხში მიწების შესაძენად და იქ საკუთარის სახლის ასაშენებლად. ეს ფული საუნივერსიტეტო ფონდიდან ვისესხოთ, ხარფუხში ეხლავე ავაგოთ სასკოლო სახლი და ეს სახლი და ჩუღურეთის სკოლის საკუთარი სახლი ქალაქისა ორივე ერთად ბანკში დავაგირაოთ და ამგვარად აღებულის ფულით ნასესხები ფული გადავიხადოთო.

საფინანსო კომისიას სრული თანხმობა გამოუცხადებია ამ ორ სკოლისათვის ადგილების შეძენასა და საკუთარის სახლების აგებაზე, მხოლოდ საუნივერსიტეტო ფონდს ხელს ნუ ვახლებთ, ისევ მიმდინარე თანხებიდან ავიღოთ, რადგან შემოდგომამდე ხარფუხისა და ავლაბრის სახლები აშენდება; მანამდე-კი ქალაქის საკუთარი სახლი ჩუღურეთის სკოლისა დავაგირაოთ ერთ-ერთ ბანკში და ამ ფულით ნასესხები ფული მიმდინარის თანხისა შევავსოთო.

კარგა ხანს კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: ა) გადაიდოს მიმდინარე თანხებიდან 30 ათასი მანეთი ავლაბრისა და ხარფუხის სკოლებისათვის ადგილების შესაძენად და საკუთარის სახლების ასაგებად; ბ) გამგეობამა და კომისიამ ის ადგილი აირჩიოს კომისიის მიერ შეთვალ-თვალებულ ადგილებიდან, რომელიც უფრო იაფად დაეთმობა ქალაქს და გ) ეხლავე ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ ნება მოგვეცეს ჩუღურეთის სკოლის სახლი ბანკში დავაგირაოთ და ამ ფულით ნასესხები ფული გავისტუმროთო.

შემდეგ ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევას შეუდგა საბჭო. დაასახელეს ბარათებით ოთხივე წევრი გამგეობისა, მაგრამ ყველაზე უფრო მეტი ბარათი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა მიიღო. კენჭიც მარტო ამას ჩამოუტარეს, რადგან სხვებმა უარი განაცხადეს ამაზე. თავ. ჩერქეზიშვილი მოადგილედ აირჩიეს 51 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 4-ისა.

ხმოსნებმა ა. ს. ბაბოვმა და ს. თ. ჭრელაშვილმა განცხადება წარუდგინეს საბჭოს, რომ დროა ძველიდანვე ნაფიქრი აზრი საქმედ ვაქციოთ და ტფილისი საბალნეოლოგო სადგურად გავხადოთ და თან სანატორიებიც გავმართოთ აქაო.

საბჭომ ყურადღებით მოისმინა ეს განცხადება, თუმცა ზოგი ხმოსანი ადრეულად სცნობდა ამ საქმეს, რადგან ჩვენი ქალაქი ყოველის მხრით მოუწესრიგებელია და სანატორიად იმის გარდაქმნა ჯერ ადრეაო. სხვები იმას ამტკიცებდნენ, რომ თუ ეხლავე შევუდგებით ამ საქმის ზრუნვას, ეს სრულებით ხელს არ შეუშლის ქალაქის სხვაფრივ განწესრიგებასაო, პირიქით, საბალნეოლოგოდ ქალაქის გარდაქმნის გზას თუ დავადექით, სწორედ ამით წინ წავწევთ იმათ წადილის ასრულებას, რომელნიც ეგრე ბევრს ჰქადაგებენ ჩვენი ქალაქის მოუწყობლობაზეო.

საბოლოოდ საბჭომ აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა: რაც ამ საქმის შესახებ (საბალნეოლოგო სადგურისა) მასალა არის შეკრებილი ქალაქის არხივსა თუ სხვაგან, ყველა ესენი შეისწავლოს კომისიამ და თავისის მოსაზრებით საბჭოს წარმოუდგინოსო; სანატორიის გამართვის საქმე-კი გადაეცეს იმ კომისიას, რომელსაც ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა აქვს მინდობილი.

კომისიაში აირჩიეს: 1) თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი (29—1), 2) ს. თ. ჭრელაშვილი (29—1), 3) მ. ზ. ავთანდილოვი (28—2), 4) მ. ნ. ვესელოვზოროვი (28—2), 5) ა. ი. ხატისოვი (28—2), 6) ს. ი. ანანოვი (28—2), 7) ა. დ. სურენიანცი (28—2), 8) ა. ს. ბაბოვი (27—3), 9) ს. ი. ვაწაძე (26—4), 10) მ. ვ. ლუნკევიჩი (26—4), 11) ა. თ. ფრიდონოვი (26--4) 12) გ. გ. შაჰბუდაღოვი (25—5), 13) პ. მ. დოლუხანოვი (24—6), 14) ს. ზ. მირზოევი (24—6), 15) ნ. ა. გრიქუროვი (24—6) და 16) პ. ი. კოქინი (23—7).

დასასრულ აირჩიეს ორი წევრი იმ კომისიისა, რომელიც პურსა და ხორცზე ნიხრის დაწესების საქმეს განაგებს: ა. ს. ღულაძე (25—5) და ნ. ა. გრიქუროვი (25—5).

ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების კრება

კვირას, 21 მარტს, ფოთის ქალაქის მოურავის ბ-ნ ნ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით მოხდა ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა წლიური კრება. თავდაპირველად გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ან. ერისთავმა წაუკითხა კრებას ვრცელი მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ. როგორც ამ მოხსენებიდან და ანგარიშიდანა სჩანს, წარსულ წელს საზოგადოებას დაუტრიალებია 19.363,479 მან. 14 კაპ., წინა წელთან შედარებით 114,470 მან. 28 კაპეიკით მეტი. 1903 წლის განმავლობაში საზოგადოებას საკმაო ახალი წევრიც მიჰმატებია და ბანკის ოპერაციებიც უფრო გაძლიერებულა. დარჩენილა მოგება 2128—71 კ. წარსული წლის ანგარიშისა და მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის და დამტკიცების შემდეგ, კრება შეუდგა მოგების განაწილებას. დიდი კამათის შემდეგ დაადგინეს: 1.815—87 დარჩეს საზოგადოების სათადარიგო თანხის გასაძლიერებლად იმ პირობით, რომ დროებით ეს ფული მოხმარდეს ახლად დაწყებულ ვაჟთა პროგიმნაზიის შენობას; შემდეგ 10 პროც. გადაიდვას სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად.

დასასრულ მოხდა არჩევანი: დირექტორისა, ნაცვლად აგერინოსი, რომელსაც სამსახურის ვადა უსრულდებოდა; ერთ ხმად ისევ არ. აგერინო აირჩიეს; საბჭოს სამი დეპუტატისა; აარჩიეს ახლები—თავ. დ. ყიფიანი, ბ. ხოფერია და ნ. ლიკიარდოპულო. სარევიზიო კომისიის წევრებად-კი სამივე ძველები დასტოვეს.

ი. იანეთელი

მიწის გამიჯვნის საქმე ჩვენში.

მალე, ჩვეულებისამებრ, სოფლად გაემგზავრებიან მიწის მზომლები და, ავად თუ კარგად, შეუდგებიან თავიანთ საქმეს. ვინც ჩვენში მიწების გამიჯვნას დასწრებია, იმან იცის, რა ძვირად უჯდება გლეხს ეს გამიჯვნა: წლის საუკეთესო დროს, რომელზედაც დამოკიდებულია სოფლის ავლა-დიდება, სოფლელი უნდება მიწის მზომლის უკან დევნას და ამნაირად, გარდა იმ ხარჯისა, რომელსაც ახდევინებენ ფულად, იგი თითქმის ნახევარჯერ გამცდარია. შიში—ვაი თუ ჩემი მიწა სხვამ „შემოიკორლონოს“, ან სახელმწიფომ დაინარჩუნოსო, მოსვენებას არ აძლევს და იძულებულია მუდამ თავის მიწებს უდარაჯოს. ამას ზედ დაუმატეთ ის სამარცხვინო ჩვეულება, რომელიც ჩვენში ზოგიერთა გალარიბებულმა თავად-აზნაურებმა შემოიღეს და რომელსაც „სპორკას“ უწოდებენ.

ეს „სპორკა“ აი რა გახლავთ. გლეხს ადგილი, როგორც მოგეხსენებათ, თავად-აზნაურობისაგან აქვს ნაყიდი და ხშირად არავითარი, ნოტარიუსის წესით დამტკიცებული საბუთი არა აქვს. გამიჯვნას გლეხი მოელის, როგორც ნაყიდ ადგილების უხარჯოდ ჩაბარებას და დამტკიცებას, „შემოკორლვნას“. მოვა მიწის მზომელი და შეუდგება თუ არა საქმეს, გამოცხადდება ადგილის გამყიდველი და „я —споръ“ —აცხადებს. გლეხს, რომელსაც რამდენჯერმე აქვს ნაყიდი ეს ადგილი იმავე გამომყიდველისაგან, მიწის ფერი ედება და ეხვეწება თავადს ან აზნაურს: „ბატონო, ნუ იკადრებ მაგას, სამჯერა მაქვს ნაყიდი ეგ მეწყერ-წასალები, ღმერთმა იცოდეს და ჩემი საწყალი ცოლ-შვილის მზემ“... აზნაური ამას ყურადღებას არ აქცევს და განაგრძობს თავის ხრიკებს, რომ რამდენიმე მანეთი „პაპიროსისთვის“ კიდევ წაჰგლიჯოს გლეხს. საყოველთაოდ დავა ძალიან აფერხებს გამიჯვნას. ეს ტეხნიკური საკითხია, მაგრამ მკითხველი ისედაც მიხვდება ვისთვისაა სასარგებლო მეტი წერა საბუთებისა, სადავო ნიშნების დასმა, გამოძიება, დავის გარჩევა, სესიების მოსვლა, განაჩენის სისრულეში მოყვანა, ხელ-ახლად ამისთვის მიწის მზომლის მოსვლა სოფელში, სადავო ნიშნების მაგივრად უდავოს ჩაყრა, ხელ-ახლად ხარჯი, კიდევ გაცდენა და სხვა დავიდარაბა... მერე რისთვისაა ყველა ეს? რისთვისაა ამდენი ტანჯვა, რაც მხოლოდ და მხოლოდ გლეხს აწევს კისერზე? ეს-კი იმიტომა ხდება, რომ გლეხმა დავის განცხადების დროს ორი თუ სამი მანეთი ვერ იშოვნა და „მესპორეს“, უსაქმოთ მოხეტიალე ვაჟბატონს, ვერ მისცა. ვისაც შეუძლიან, რასაკვირველია, საქმეს სასამართლომდე არ მიიყვანს და მოდავეს თავიდან იშორებს, მაგრამ უმეტესი ნაწილი საქმისა ოლქის სასამართლოში მიდის გადასაწყვეტად.

ამდენს წვალებას ეწევა გლეხი გამიჯვნის დროს. ჩვენ აქ არ შეგვიძლიან იმის განხილვას შევუდგეთ, თუ რად არის გამიჯვნის წესები ისე მოუწყობელი, რომ შესაძლებელი ხდება ასეთი თითქმის გაუთავებელი და უნაყოფო შრომა. ამისი, როგორც ათას სხვა ნაკლულევანების გასწორება და თავიდან აშორება, თუ ვივარგებთ, მომავალს ეკუთვნის. მაგრამ, ცხადია, რაც უნდა უსრულესი და უნაკლულო იყოს (თუ ეს შესაძლებელია) კანონმდებლობა, როცა ადამიანი სინიდისსა და პატიოსნებაზე ხელს აიღებს და თავის სიზარმაცეს ყველაფერს უმსხვერპლებს, ის ყოველ კანონს შემოუვლის და თავისას რამდენიმეთ მაინც გაიტანს.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენში (ნამეტნავად იმერეთში) ერთობ წვრილი მიწათმფლობელობაა. ანეკდოტი ამბობს, რომ ერთი აზნაური ოფლ-გადახეთქილი მოვარდა იმ ადგილს, სადაც მიწის მზომელს უიმისოდ შემოემიჯნა მისი ნაჭერი ადგილი, მოიძრო ნაბადი, მიაგდო და დაუწყო ძებნა თავის ადგილს, მაგრამ ამაოდ: ადგილი არსად სჩანდა. ბოლოს სასოწარკვეთილმა ნაბადს წამოავლო ხელი და... სახე გაუბრწყინდა: ადგილი ნაბად-ქვეშ დამალულიყო. წარმოიდგინეთ, რამდენი შრომა სჭირდება სოფელს, როცა ასეთ ნაჭრება დააქვს დაქუცმაცებული მიწები. ეს წყეული „черезполосица“, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობენ სოფლის ეკონომიაში, არა მგონია ისე გავრცელებული იყოს სადმე, როგორც ჩვენში. და, აი, მეორე და ერთი უმთავრესი მიზეზი, რასაკვირველია, არა მარტო გამიჯვნის დაგვიანებისა, არამედ სოფლის დაქვეითებისაც, სხვათა შორის. თავი დავანებოთ იმას, თუ რა დიდი ზარალი მოსდევს ამ „черезполосица“-ს, ადგილების აქა-იქ გაბნევა-დაქუცმაცებას და მივაქციოთ ჩვენი სოფლის ყურადღება მხოლოდ იმას, რომ საუკეთესო დრო ასეთ დაქუცმაცების თავიდან ასაშორებლად გამიჯვნაა. ვურჩევთ ყველას, შეიგნონ ეს საჭიროება და წინ-და-წინ ეცადნენ ადგილები მიცვალ-მოცვალონ. სასარგებლო და საჭირო ასეთი მიცვლა-მოცვლა და ადგილების ერთ ფარგალში მოყრა ყველის ესმის, ნამეტნავად თვით მიწის პატრონებს. გარდა ამისა ეს გააადვილებს მიწების გამიჯვნას და ესეც დიდი სარგებლობაა, როგორც ქვეით დავინახავთ.

წარმოიდგინეთ ასეთი მაგალითი. სოფელში ასი კომლია, რომელთაც დესიატინა მიწა აქვთ. თითო კომლს, ორთა შუა რიცხვით რომ ავიღოთ, სულ უკანასკნელი, ათი ნაჭერი მიწა ექნება აქა იქ გაბნეული. ამ ათს ნაჭერს საუკეთესო პირობებში მიწის მზომელი გამიჯნავს ორ წელს, თუ მეტს

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2447.

არა. თითო კომლს გამიჯვნის სეზონის ექვს თვეში სულ უკანასკნელი ეკარგება 30 დღე. გარდა ამისა სოფელმა უნდა აძლიოს მიწის მზომელს სახლი, შეშა, ორი ცხენი და ერთი კაცი მუდამ. იანგარიშეთ წელიწადში 3000 დღე სამი ათას მანეთად (თუმცა რთველზე მუშა ხელი ოქროთა ღირს), სახლი თვეში (შეშით)—თუმანი, ორი ცხენი და კაცი თვეში— 30 მანეთი. ექვს თვეში ყველა ეს შეიქმს 3240 მანეთს და ორ წელს —ექვსას ორმოცდა რვა თუმანს. მიწა-კი ასე დაქუცმაცებული რომ არ იყოს და თითო კომლს ორ-სამ ნაჭრად ჰქონდეს თავ-მოყრილი, მიწის მზომელი სამ თვეს მორჩებოდა ასეთ სოფლის გამიჯვნას.

ასეთია მოკლედ ზოგი მხარე გამიჯვნის საქმისა ჩვენში. სხვა მხარეები, მაგალითად, ის, თუ რომელ ადგილების გამიჯვნა უფრო აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ხალხისათვის, საით უნდა იყოს მიქცეული მთავრობის ყურადღება და სხვა—ეს ისეთი საკითხებია, რომელზედაც იტყვიან горбатаго могила исправитъ და ამიტომ ჩვენ ამას თავი დავანებოთ.

მიწის მზომელი

დაბა-სოფლები

—

სოფ. კორბოული (ზემო იმერეთი). ამისთანა ზამთარს კაი ხანია არ მოვსწრებივართო, ხშირად გაიგონებთ ჩვენში მოხუცებისაგან. მართლაც და რაც შარშანდელმა სუსხიანმა ზამთარმა სიმწარე მოგვაყენა, ის წრევანდელმა დაგვავიწყებინა, რადგან მეტად კარგი და თბილი ზამთარი იყო. თოვლი თითქმის ამ ზამთარში თვალითაც არ გვინახავს, რის გამო მუშაობა არ შეწყვეტილა. ჩვენის სოფლის მცხოვრებნი დიდად შეაწუხა წარსულ ორი წლის მოუსავლობამ. შარშანდელმა მოუსავლობამ ხომ გადააჭარბა შარშანწინდელისას: ათში ერთს თუ ექმნება მოსავლამდის საყოფი სარჩო. კიდევ კარგი, რომ წელს ამისთანა კარგი ზამთარი გვქონდა, თორემ უსაკვებობით შინაური ოთხფეხი გაგვინახევრდებოდა. 25 თებერვალს ჩვენის საზოგადოების სასოფლო კანცელარიაში ბოქაულმა მოახდინა ყრილობა და შეგროვილ საზოგადოებას გამოუცხადა ქუთაისის გუბერნატორის განკარგულება იარაღის აყრის შესახებ. **ვ. მაჭარაშვილი**

—

ანაკლია , (სამეგრელო). 8 მარტს საღამო ჟამზედ „კუპა"-ს კომპანიის სიმინდის მყიდველ კასირს გიორგი კეფალიდს კასიდან 500 მანეთი მოჰპარეს. კასირს კასის კარი ღია დარჩენია და ქუჩის მეორე მხარეს დუქანში გადასულა. ამ დროს შესულა ქურდა, კასიდან ამოუღია ხუთი ისიანი ქაღალდის ფული. პოლიციამ ჯერ ვერ მიაგნო ქურდს. აქეთ ზღვის განაპირა სოფლებში მეტის-მეტი შიმშილობაა. ქალაქში სურსათი ძლიერ ძვირია; სიმინდის ფქვილი 90 კ. ღირს, რომელიც წარსულ წლებში 45 კაპ. ღირდა ფუთი. წითელი პური გირვანქა შაურია, შაქარი 20 კ., მარილი ფუთი 15 კ., ნავთი 6 კ. თებერვლის შუა რიცხვებში აქეთ სამეგრელოს ზემო სოფლებიდან დიდ-ძალი სიმინდი ჩამოზიდეს გასასყიდად. ხმა დავარდა, შავი ზღვა იკეტებაო, და თუ ვინმეს სიმინდი ჰქონდა სასიმინდეში, აქ ჩამოზიდეს, რომელსაც ჰყიდიან ფუთს 54 კ. მარტში აცივდა. ყელჭირვება და ინფულენცია საშინლად მძვინვარებს. **ს. გვასალია**

—

სამხთო (გურია). 14 მარტს, სამხთოის სკოლის დარბაზში მოხდა აქაურ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წლიური კრება კრებას მოხსენდა წინა წლის ანგარიში. ანგარიშიდანა სჩანს, რომ ამხანაგობას წლის ბოლომდე ჰყოლია 44 წევრი. შემოსულა საწევრო ფული 215 მანეთი. ამხანაგობის მთელი თანხა, რომელიც უდრის 688 მანეთს, .გასესხებული ყოფილა წევრებზე და შემოუტანია 50 მან. 85 კაპ. ამხანაგობას დაჰხარჯვია სხვა-და-სხვა წვრილმან საქმეებზე 4 მანეთი. კრებამ მიიღო წლის ანგარიში და დაადგინა: საერთო მოგებიდან 5 მან. 20 კაპ. გადაიდოს ძირის თანხისათვის; 9 მან. 88 კ. მიემატოს იმ 26 მანეთს და 37 კაპ., რომელიც შარშან გადაიდო მომავალში ამხანაგობისათვის კასის შესასყიდად და დანარჩენი მოგება განაწილდეს წევრთა შორის და მიემატოს საწევრო ფულს. კასირმა ითხოვა თანამდებობიდან განთავისუფლება. კრებამ მადლობა გამოუცხადა კასირს ბაქანიძეს უანგარო შრომისათვის და სთხოვა, ერთის წლით კიდევ გაეწია ამხანაგობისათვის სამსახური, რაზედაც დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ბ-ნი ბაქანიძე დასთანხმდა. თუმცა ორი წელი შესრულდა, რაც ამხანაგობა არსებობს, მაგრამ ჯერ საწევრო ფული არავის მოსრულებული არა აქვს. კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ საწევრო ფული წევრებმა რაც შეიძლება მალე მოასრულონ.

შინაური.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 მარტი.

პეტერბურგი. 22 მარტს შორეულ-აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და ბრძანა, მიეცეს 1 რანგის კრეისერ „ვარიაგ"-ისა და საკანონერო ნავის „კორეეც"-ის აფიცრებსა, მღვდლებსა და ექიმებს წლინახევრის ჯამაგირი, ხოლო მეზღვაურთ 180 მანეთი თითოეულს.

პორტ-არტური. (საკუთარის კორესპონდენტისაგან). 21 მარტს ნამესტნიკი ალექსეევი მუკდენს ვაემგზავრა.

22 მარტს დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის ძე მომქმედ ჯარში წავიდა.

მტერი არ გამოჩენილა.

ვლადივოსტოკი. (საკუთ. კორესპ.). ბევრი გახიზნული ისევ უკან ბრუნდება. უსურიის რკინის გზაზე კერძო საქონლის მიღება ისევ დაიწყეს. თბილი დღეები დადგა.

შანჰაი. („რეიტ. სააგ."). ამ ჟამად იაპონიის მომქმედ ჯარში 260 ათასი ჯარის კაცია; ამას გარდა მეციხოვნე ჯარში 60 ათასი კაცია, მიუხედავად სათადარიგო ჯარის კაცთა, რომელნიც ჯერ კიდევ სამსახურში არ გაუწვევიათ. მთავარი შტაბი საიდუმლოდ ინახავს ბრძოლის გეგმას, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ იაპონიის სამხედრო ძალა სამ არმიად გაყოფილი იმოქმედებსო.

იაპონიის მოხელენი მოწოდების საშუალებით ათასობით აგროვებენ ცხენებს. თითოეულ არმიას თან ეხლება კარგა მოზრდილი ცხენოსანთა რაზმი. იაპონიის ცხენოსანთა ჯარის კაცნი დ ცხენები თუმცა ვერ შეედრება ევროპიელ ცხენოსანთა ჯარისას, მაგრამ იაპონელმა აფიცრებმა განაცხადეს, ჩვენი ცხენოსანთა ჯარი გვაჩვენებს, რომ მას შეუძლია თავისი დანიშნულების გამართლება.

უმეტესი ნაწილი კორეიელები გაგზავნილ იაპონელთა არტილერიისა დიდი კალიბრიან არტილერიას არ შეიცავს, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ იაპონიაში აქვთ რამდენიმე ბატარეია მძიმე ტიპისა, რომელიც თავისი ღირსებით საუკეთესო მინდვრის არტილერიას არ ჩამოუვარდებაო.

კორეიასა და მანჯურიაში ათბა, რის გამო გზა გაუვალი ჰხდება

სეული. („რეიტ. სააგ."). იაპონიაში ელჩად დანიშნულმა იონიონუნმა სამსახურს თავი დაანება.

სევასტოპოლი. „ვარიაგელებს" თითო წლის ჯამაგირი საჩუქრად დაურიგეს, დღესასწაულები გადაიდო ყველას მოსვლამდე. სტეპანოვის მიერ მიღებულ დეპეშათა შორის ერთი დეპეშა გამოგზავნილია პოლტავის პირველ ცხენოსანთა პოლკისაგან, რომელსაც ნაბოძები აქვს წმ. გიორგის შტანდარტი 1828 წელს ბრაილოვთან ოსმალეთის ფლოტილიის დამარცხებისათვის.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

23 მარტი

პეტერბურგი. გენერალი ფლუგი დეპეშით ატყობინებს მუკდენიდან სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოს: „საფუძველს მოკლებულია გუშინდელი ცნობა, შანჰაიდან ლონდონს გაგზავნილი, ვითომ იაპონელებს ნიუჩუანისა, ანდუნისა, გირინისა და ვლადივასტოკის მხრიდან გაულაშქროთ რუსებისაკენ, აგრეთვე ის ცნობა, ვითომ დაგუშანის მახლობლად 105 ათასი იაპონელი ჯარისკაცი გადასულიყოს. მანჯურიაში სრულიად არ არის იაპონიის ჯარი".

პორტ-არტური. სამშაბათს ჯავშნიან გემს „პეტრეპავლოვსკ"-ზე დიდის ამბით დაურიგეს წარჩინების ნიშნები იმ მეზღვაურთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს უკანასკნელ ბრძოლაში. ადმირალმა მაკაროვმა სიტყვა წარმოსთქვა, რის შემდეგაც ჯვრები დაურიგა. დაჭრილებს კარგად უვლიან და ჩქარაც რჩებიან. ბრძოლის ველზე ცვლილება არა მომხდარა-რა. დარი შეიცვალა, წვიმა მოდის.

ლონდონი. „დეილი ქრონიკლ"-ს შანჰაიდან დეპეშით ატყობინებენ: აქედან წავიდა გემი ანნამი 500 რუსით, ამათ შორის 124 კაცი „მანჯური"-ს მეზღვაურია. ჩინელები იტყობინებიან, რომ მდინარე იალუზე 100 ათასი რუსი სდგასო.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მარტი

ლონდონი („რეიტ. სააგ."). ტუნიდან იტყობინებიან, პოლკოვნიკმა იონგხეზბანდმა ეპისტოლე მიიღო ლხასში მყოფ ჩინეთის წარმომადგენლისაგან, რომელიც აუწყებს, სურვილი მაქვს ვნახო ინგლისის წარმომადგენელი, მაგრამ დალაი-ლამა უარს ამბობს, არ გიშველით; ამის გამო აზრადა მაქვს გიონგ-ცეში მოვიდე.

ლონდონი. ტუნიდან პოსულ ცნობებით, ჩინელები იუწყებიან, რომ კხაოგმეში ბეჯითად ემზადებიან წინააღმდეგობის გასაწევად; იქ შეგროვილია 500 ცხენოსანი და 7000 ქვეითა ჯარის-კაცი. დორჟიევი ახლა ლხასში იმყოფება, სადაც დიდი გავლენა აქვს. იგი დაინიშნა არტილერიის უფროსად და დალაი-ლამას ხაზინადრად.

მესსინა („ვოლფ. სააგ."). იმპერატორი ვილჰელმ ზღვის ნაპირზე გადმოვიდა და სასაფლაოზე გაისეირნა. სასაფლაოზე სეირნობის შემდეგ იმპერატორი გემზე დაბრუნდა.

ლონდონი („რეიტ. სააგ."). ტიბეტის ექსპედიციის პოლიტიკური ხასიათი არ შეიცვლება. ექსპედიცია ეცდება მივიდეს გიონგ-ცემდე, მიუხედავად ტიბეტელებთან მომხდარ შეტაკებისა.

20 მარტი.

პეტერბურგი. ნიჟეგოროდის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს ნეიდგარტს ებრძანა ეკატერინოსლავის გუბერნატორის თანამდებობის ასრულება.

22 მარტს ხელმწიფე დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა დაათვალიერა ალექსანდრეს ინსტიტუტი.

ორენბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რასტორგუევი თავისის თხოვნისამებრ უმაღლესად დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

სოფია. 22 მარტს შუადღისას სამჯერ იძრა მიწა. ხალხი შიშის ზარმა მოიცო, მაგრამ ცოტა ხნობით; ზარალი მცირედია. ბოლგარიის მთელს სამხრეთისა და აღმოსავლეთ მხარეშიაც იძრა მიწა.

სტამბოლი. რუსეთისა და ავსტრიის ელჩებმა პორტას გადასცეს ახალი ნოტა, რომელშიაც მტკიცედ ადგანან თავიანთ მოთხოვნილებათ ჟანდარმერიის ორგანიზაციისა და აფიცერთა რაოდენობის შესახებ.

სამოქალაქო აგენტები იტყობინებიან სალონიკიდან, როგორც ხილმა-ფაშას გამოძიებიდან სჩანს, გაზვიადებულია ის ცნობა, ვითომ ცი ში ოსმალებს ძალმომრეობა ჩაედინოთ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარ

განცხადებანი

—

კახური ღვინოები

ბოთლი 15 კაპ. ხუთის ბოთლის მყიდველს დაეთმობა ბოთლი 15 კაპ. შეიძლება იყიდოთ ახლად გახსნილ ღვინის საწყობ „**ნადეჟდა**"-ში „იმედი". მიხაილოვის პროსპექტი, შიმანსკის აფთიაქის ქვეშ, სადაც უწინ ვაჭრობდა ღვინით ს. ი. ოსიფოვი. **ვინც 20, 25, 30, 40, 60 და 80 კაპ. ბოთლს 10 ცალს ერთად იყიდის, დაეთმობა 25% მანეთზე და სახლშიაც** ჩვენვე მივუტანთ. ჩვენის ღვინის ღირსებასა და სასიამოვნო გემოვნება ყველა გაიგებს პირველს ყიდვაზედვე; შემიძლიან დავუ'ატო, რომ მე ყოველთვის ვაფასებ ჩემს პატივცემულს მუშტრებს: ვცდილობ მეტად გავაძლიერო წარმოება და დავკმაყოფილდე მცირე მოგებით, ამიტომაც ჩემი ღვინოები ყოველ კონკურენციას გარეშეა.

პატივისცემით თელავის მოქალაქე

(3—1) **კ. ხ. დავიდოვი.**

იყიდება

ალექსანდროვის ბაღში სამეურნეო შენობის სადგომში სოფლიდან ჩამოტანილი კვერცხი, ყველი, კარაქი, ერბო, თაფლი და ლორი (ვიჩინა). (1—112—1)

პატარა კახი

საუკეთესო კახური ღვინის საწყობი დათიკო როსტიაშვილისა.

პატივი მაქვს ვაუწყო ყოველს მუშტარს: მომავალ დღესასწაულისათვის გადავწყვიტე ფას დაკლებით მივაწოდო მუშტართ ღვინო: ბოთლი –10 კ.—დან ათშაურამდის, თუნგი 50 კ.—დან ორ მანეთამდის. ჩემი ადრესი: ქალაქის მეათე ნაწილი, მალაკნების მოედანი, სახლი ზოლნიკოვისა № 115.

დ. როსტიაშვილი (4—109—2)

ქართულ თეატრის დარბაზში, მარტის 25 დილის 10 საათზე დანიშნულია **ტფილისის სამა**
ხი კასის წევრთა

საზოგადო კრება

განსახილველად და დასამტკიცებლად წლიურის ან გარიშისა, ამოსარჩევად სამის სარევიზიო და ერთის გამგეობის წევრისა და მათ ნაცვლებისა.

რადგან პირველი კრება, დამიშნული 14 მარტს, წევრთა საჭირო რიცხვი დაუსწრებლობის გამო, არშესდგა ამიტომ ეს კრება წესდების ძალით კანონიერია რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, (4—3)

საათის საწყობი

იულიუს გენესი

ტფილისი, დვარცოვი ქუჩა.

მივიღეთ მრავალი საათი—კედლისა და სტოლისა. ყოველთვის მრავლადა გვაქვს ყოველგვარი საათი ჯიბისა შვეიცარიის საუკეთესო ქარხნებისა. საწყობი ჰკისრულობს აგრეთვე საათების შეკეთებას, რაიცა სწრაფად და პირიანად სრულდება. ფასი ყველა საქონელზე ზომიერია.

პრეის-კურანტი მოთხოვნილებისათანავე მსურველს უსასყიდლოდ ეგზავნება. (25—6.—6)

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობისა
ი ყ ო დ ა ა რ ი ს

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქნეს. მხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ აყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გაიიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების" ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика. (0—99)

ტელეფონი № 978. **სამოდო-სამანუფაქტურო მაღაზია** ტელეფონი № 978.

„მოდერნ"

ტფილისი, გოლოვინსკი პროსპ., სახლი სტეფანოვისა, 16.

მუდამ შეიძლება აარჩიოთ ბევრგვარი საქონელი **რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა:**—**შალისა** და **აბრეშუმისა** და **ბამბეულის ყოველგვარი ქსოვილები**, აგრეთვე სუფრის თეთრეული, აბრეშუმის იუბკები და კოფთები, პლიუშის სტოლის საფრები, ხავერდის ხალიჩები და სხვა. ფასები გადაჭრილია, ისყიდება შეუვაჭრებლად. (6—2)

Доз. ценз. Тифлисъ 23 марта 1904 г. ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.